საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ოქროპირიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	2	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი
თარიღი: 27.05.2021 წ.

თამარ ოქროპირიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული, გაწონასწორებული და თავშეკავებული. ის სათანადოდ ასრულებს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. მას აქვს კარგი პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია კოლეგებს შორის. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	კანდიდატი კარგად ფლობს ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ის ფლობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ასევე ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ

			შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. თავისი სპეციალიზაციის ფარგლებში კანდიდატი იცნობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არის სათანადოდ დასაბუთებული, რაც მას სძენს დამაჯერებლობას. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება გასაგებია მხარეთათვის.
წერის უნარი	19	20	კანდიდატს აქვს 14-წლიანი პროფესიული გამოცდილება. მას აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. წერილობით თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად, მარტივი და გასაგები ენით. გადაწყვეტილებაში ფაქტობრივი გარემოებების აღწერის, მხარეთა და მოწმეთა პოზიციების გადმოცემის და გადაწყვეტილების დასაბუთებისას აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და გარკვევით. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ის საუბრობს თავდაჯერებულად და დასაბუთებულად. მან გამოავლინა ემოციების მართვის კარგი უნარი, მას შეუძლია მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრებები.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. ის პასუხისმგებლობით ეკიდება და ეფექტიანად ასრულებს თავის მოვალეობებს. მას აქვს საქმის განხილვის საპროცესო ვადების კარგი მაჩვენებელი, თუმცა, გასაუმჯობესებელია კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი და ის ღია არის სიახლეების მიმართ, მათ შორის საკანონმდებლო თუ სამოსამართლო პრაქტიკის კუთხით. კანდიდატი საკმაოდ აქტიურად ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ სასწავლო შეხვედრებს.
პროფესიული აქტივობა	2	5	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობს,

			თუმცა ის საკმაოდ ხშირად ესწრება სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრას, სადაც აფიქსირებს თავის მოსაზრებებს.
ქულათა ჯამი	92	100	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36³ მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, თამარ ოქროპირიძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;</u>** მოძიებული ინფორაციის თანახმად, თამარ ოქროპირიძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ის კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს, თუმცა მას უფიქსირდება მცირედი ჯარიმები ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმები კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თამარ ოქროპირიძეს		

	სათანადოდ აქვს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ვალდებულებებს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა თავშეკავებულობა, კორექტულობა. ის ღიად და გამჭვირვალედ აფიქსირებდა თავის მოსაზრებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;</u>** კანდიდატი არის დამოუკიდებელი და სამართლიანი, რასაც, ასევე ადასტურებენ მისი რეკომენდატორები და კოლეგები. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ოქროპირიძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი და შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა;</u>** თამარ ოქროპირიძეს სათანადოდ აქვს გააზრებული მისი, როგორც მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. ის სათანადოდ ასრულებს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის ასევე სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით თამარ ოქროპირიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. თამარ ოქროპირიძის ურთიერთობა კოლეგებთან, ქცევა და იმიჯი შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი მხარედ ან დაზარალებულად არ წარმოდგენილა, ამასთან, არ ფიქსირდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;</u>** თამარ ოქროპირიძეს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ დადებითად. გამოარჩევენ მის თავმდაბლობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, კორექტულობას, შრომისმოყვარეობას, სამართლიანობას, გულწრფელობას, თავაზიანობას და ა.შ. ამასთან,

	აღნიშნავენ მის დადებით განწყობას კრიტიკისა და შენიშვნების მიმართ. რეკომენდატორები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე ან ნაკლოვანება. **<u>ფინანსური ვალდებულება.</u>** როგორც უკვე აღინიშნა, თამარ ოქროპირიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ამასთან, კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ თამარ ოქროპირიძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* **<u>სამართლის ნორმების ცოდნა;</u>** გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. მისი მსჯელობა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით

	უმეტესად იყო ამომწურავი და დამაჯერებელი. კანდიდატი ფლობს სამოქალაქო სამართლის კანონმბდებლობას, მას აქვს ზოგად ცოდნა სისხლის სამართლის პრინციპებთან დაკავშირებით, ამასთან, კანდიდატი საკმაოდ კარგად ფლობს ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, რაც წარმოადგენს მის სპეციალიზაციას. კანდიდატი აქტიურად ეცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს თავისი სპეციალიზაციის ფარგლებში. კანდიდატი ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებების მიმართულებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კუთხით. თავისი მსჯელობის ფარგლებში კანდიდატი გარკვეულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით იშველიებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. კანდიდატი საკუთარ პოზიციას აფიქსირებდა დამაჯერებლად, შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტების მოყვანით. ამასთან, გამოვლინდა, რომ ზოგიერთ საკითხთან მიმართებით კანდიდატი კარგად იცნობს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. კანდიდატი სიღრმისეულად ეცნობა სასამართლო პრაქტიკასა და საკანონმდებლო სიახლეებს, მაგალითად, მან საკმაოდ ამომწურავად და დასაბუთებულად იმსჯელა ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში, კანდიდატმა მისთვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე მსჯელობისას სრულად ანდა დამაკმაყოფილებლად ამოწურა საკითხთა საერთო რაოდენობის 93%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;</u>** კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის თავის პოზიციებს აფიქსირებს ნათლად, მხარეთათვის გასაგებად, ამასთან, სათანადოდ ასაბუთებს, რაც გადაწყვეტილებას ანიჭებს მეტ დამაჯერებლობას. გადაწყვეტილებაში კანდიდატის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების, მოყვანილი არგუმენტებისა და ნორმების ლოგიკური განმარტებების საფუძველზე,

	მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. კანდიდატს აქვს 14-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს დაახლოებით 5-წლიან სამოსამართლო საქმიანობას. მას აქვს თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია. **<u>წერის უნარი;</u>** კანდიდატი თავის მოსარებებს აფიქსირებს ნათლად, მარტივი და გასაგები ენით. გადაწყვეტილებაში ფაქტობრივი გარემოებების აღწერის, მხარეთა და მოწმეთა პოზიციების გადმოცემის და გადაწყვეტილების დასაბუთებისას აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და გარკვევით. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი;</u>** თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად და თანმიმდევრულად, უმეტესად საკმაოდ დასაბუთებულად და დამაჯერებლად. კანდიდატმა გამოავლინა ემოციების მართვის კარგი უნარი, მას შეუძლია განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენა. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;</u>** კანდიდატის პუნქტუალურობას, შრომისმოყვარეობასა და მიზანდასახულობას დადებითად აფასებენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. მას სათანადოდ მიჰყავს სხდომები, აქვს ინდივიდუალური მიდგომა საქმეთა და მხარეთა მიმართ, კერძოდ, კანდიდატმა გამოავლინა ბავშვთა მიმართ სწორი ფსიქოლოგიური მიდგომა. კანდიდატი პასუხისმგებლობით ეკიდება და ეფექტიანად ასრულებს თავის მოვალეობებს. მას აქვს საქმის განხილვის საპროცესო ვადების კარგი მაჩვენებელი(86,2%), თუმცა, გასაუმჯობესებელია კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვა(63,7%). **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;</u>** კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი და ის ღია არის სიახლეების მიმართ. ის საკმაოდ აქტიურად ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ სასწავლო შეხვედრებს. ამასთან, კანდიდატი საკმაოდ აქტიურად და სიღრმისეულად ეცნობა

	საკანონმდებლო სიახლეებსა და რელევანტურ სასამართლო პრაქტიკას. კანდიდატს გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა ის საკმაოდ ხშირად ესწრება პროფესიულ შეხვედრებს, სადაც აფიქსირებს თავის მოსაზრებებს.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.